# დილა

№8, 2017



# დილის მხატვრები



## ედუარდ ამბოკაძე (1935–2007)

ედუარდ ამბოკაძემ სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, 1955 წელს, მალევე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა, ჯერ სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ უკვე აკადემიაში, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა ახალგაზრდებთან, თითქმის თავის თანატოლებთან. სამხატვრო აკადემიაში მისი პედაგოგები უჩა ჯაფარიძე, იოსებ გაბაშვილი, დუდა (დავით) გაბაშვილი, სერგო ქობულაძე და კორნელი სანაძე იყვნენ. ქართული სახვითი ხელოვნების ასეთ გამორჩეულ ოსტატებთან მუშაობა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრისთვის ბევრის მომცემი აღმოჩნდა. პროფესიული დაოსტატების წლები დატვირთული, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო. ასპირანტურის სადიპლომო ნამუშევარმა „სოფლის დღეობა“ (ხელმძღვანელი კორნელი სანაძე), საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. თამამი მონასმი, ფერით მოდელირებული ფორმა, მკაფიოდ მოწესრიგებული და გაწონასწორებული, ძლიერ დინამიკური და ცოცხალი კომპოზიცია – ეს ის მახასიათებლებია, რაც ედუარდ ამბოკაძის ნამუშევრების მუდმივ თანმდევად იქცა. ქმნიდა ნატურმორტების, პორტრეტების, ჟანრული კომპოზიციების სერიებს. შემოქმედების გვიან ეტაპზე მნიშვნელოვანია მის ნამუშევრებში სოციალური თემის გააქტიურება, სადაც ადამიანები სიყვარულის, სიკეთის, თანადგომის ნაკლებობას განიცდიან.

ედუარდ ამბოკაძე XX საუკუნის 60-70-იანელთა თაობის წარმომადგენელია. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის უდიდეს ნაწილს წიგნის ილუსტრაცია შეადგენს. წიგნის ილუსტრაციაზე, უმეტესად, გრაფიკოსი მხატვრები მუშაობენ. ედუარდ ამბოკაძე კი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია. მისთვის, დაზგური ფერწერის სპეციალისტისთვის, უძლიერესი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემი აღმოჩნდა წიგნი — უპირატესად, საბავშვო წიგნი. აქ არსებითია, რომ მხატვარი თავადაც წერდა, თხზავდა და იგონებდა პატარებისთვის გასართობ თავშესაქცევ ამბებს, რომელთა მიხედვითაც ნახატებს ხატავდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიუძღოდა, მიაცილებდა და აწონებდა პატარებს მხატვრულ-წარმოსახვით სამყაროს, რომლის მთავარ მეგზურადაც თავადვე ქცეულიყო.

ძალიან ახალგაზრდამ დაიწყო თანამშრომლობა ჟურნალ „პიონერთან“, შემდეგ იყო ილუსტრაციები გამომცემლობა „ნაკადულისთვის“ და ჟურნალ „დილისთვის“. მისი ილუსტრაციებით გამოდიოდა ასევე „დილის“ ბიბლიოთეკის მომცრო ზომის წიგნები, სადაც ერთ ხელოვანს საშუალება ეძლეოდა ერთდროულად ემუშავა საბავშვო ლექსების, მცირე ზომის მოთხრობების, გამოცანების, შარადებისა და სხარტულების დასურათხატებაზე. უამრავი ასეთი წიგნი შექმნა ედუარდ ამბოკაძემ. მას ეკუთვნის ნოდარ დუმბაძის, ნიკო ლომოურის, იროდიონ ევდოშვილის, მორის ფოცხიშვილის, გივი ჭიჭინაძის, ტარიელ ჭანტურიას, დოდო ვადაჭკორიასა და სხვათა ნაწარმოებებისათვის შექმნილ-შესრულებული ახლებური ვიზუალური ინტერპრეტაციები, რომელთა მეშვეობითაც მკითხველი განსხვავებულ, ახლებურ სამყაროში ხვდებოდა. თითქოს უკვე კარგად ნაცნობ გმირებსა და პერსონაჟებს ახლებურად ეცნობოდა და მათში ჯერ სრულიად შეუმჩნეველ ხასიათის შტრიხებსა და ნიუანსებს ხედავდა. ედუარდ ამბოკაძე მუშაობდა ანიმაციაში, ქმნიდა კინოაფიშებს და წლების განმავლობაში მიჰყავდა სატელევიზიო საბავშვო-შემეცნებითი გადაცემა „ჯადოსნური სალებავები“.

გამორჩეული მნიშვნელობა შეიძინა ედუარდ ამბოკაძისეულმა ილუსტრაციებმა რასპეს ცნობილი ნაწარმოებისთვის „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“. აქ მხატვარს უკვე კარგად ცნობილი, ბავშვების საყვარელი გმირისა და პერსონაჟის, ბარონის სახე არც უნდა გაემეორებინა და თან ახალი ისეთი უნდა შეეთხზა, რომ დამაჯერებელი, სახალისო და დასამახსოვრებელი ყოფილიყო. მხატვარს ურთულესი ამოცანა ჰქონდა გადასალახი, თუმცა მან წარმატებით გაართვა თავი. ასეთივე ორიგინალური იყო ედუარდ ამბოკაძის ყველა პერსონაჟი, პრანჭია გოგონა იქნებოდა ის თუ ცელქი ბიჭი, რომელიმე ცხოველი თუ გამოგონილი გმირი. ყველას მკაფიო პიროვნულობა, სახასიათო გარეგნობა, ძლიერი ესთეტიზმი და ცოცხალი დინამიკა გამოარჩევდა.

დაზგურ ფერწერაში მეტი დრამატულობის უფლებას აძლევდა მხატვარი თავს. შემოქმედების გვიან ეტაპზე შექმნა სურათი, რომელსაც „ავტოპორტრეტი“ უწოდა. ეს ხელგაწვდილი კაცი ქუჩაში თავის ძაღლთან ერთად რომ იდგა, გამვლელებს სიყვარულს სთხოვდა. სამყარო ცარიელი და ცივი, მიუსაფარი და დაუნდობელი გამხდარიყო. მას კი, ხელოვანს, რომელმაც ჭეშმარიტი ქმნადობის მადლი, მნიშვნელობა და ფასი იცოდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა და ისიც სიყვარულის შესაგროვებლად გამოსულიყო ხალხში, ვისთვისაც მთელი სიცოცხლე ილვწოდა, ერთი იმედით, რომ ამ სიყვარულს უცილობლად იპოვიდა.

წელს მხატვრის დაბადებიდან 82 წელი სრულდება. ხელოვანი, რომელიც სიყვარულს აგროვებდა, რათა ასევე უშურველად გაეცა და დაებრუნებინა თავისი ნამუშევრებით, XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული წიგნის ილუსტრაციის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფიგურად იქცა.



P.S. ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი მთლიანად ედუარდ ამბოკაძეს ეძღვნება, მხატვარს, რომელზეც „დილის“ თანამშრომლებსა თუ მკითხველებს თამამად შეუძლიათ თქვან – ეს ჩვენი მხატვარია.

მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ ამბოკაძე ქმნიდა ილუსტრაციებს წიგნებისთვის, ჟურნალ-გაზეთებისთვის, სახელმძღვანელოებისთვის და იყო მულტიპლიკაციური ფილმების მხატვარი, „დილა“ მაინც განუყოფლად იჩემებს მას, რადგან 1960 წლიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლო დღემდე ხატავდა ჩვენი ჟურნალისთვის, გვეხმარებოდა და გულწრფელად იზიარებდა მის სიხარულსა და წუხილს. როცა ყველაზე მეტად უჭირდა რედაქციას, ჰონორარის გარეშე, უსასყიდლოდ გააფორმა რამდენიმე ნომერი...

იქნებ თქვენს დედებსა და მამებს, ან უფროს და-ძმას ახსოვთ კიდეც მისი ხალისიანი და ჭკუის სასწავლებელი ნახატი-ხუმრობები, კომიქსები, ქართველი ავტორების ნაწარმოებებისთვის შექმნილი შესანიშნავი ილუსტრაციები, გასართობები, „დილის“ გარეკანისთვის შექმნილი ნახატები...

გვინდა, ედუარდ ამბოკაძის შემოქმედებას თქვენც იცნობდეთ, ამიტომ ამ ნომერში თავი მოვუყარეთ მისი ნამუშევრების მცირე ნაწილს, უფრო მეტად, სახალისო და გასართობ მასალას. ვიფიქრეთ, რომ ზაფხულის არდადეგებზე ეს კარგი საჩუქარი იქნებოდა მკითხველისთვის.

10 აგვისტოს ბატონ ედუარდს 82 წელის შეუსრულდებოდა.

ჟურნალის ეს ნომერი ჩვენი საყვარელი მხატვრის საჩუქრიცაა.

# ზაქარას თავგადასავალი



ზარმაცი ზაქარა სკოლისკენ მიდიოდა.



იფიქრა: რა დროს სკოლაა, მოდი, ამ ხის ძირში წამოვკოტრიალდებიო. წამოწვა არხეინად ჩრდილში და მიიძინა.



უეცრად თავსხმა წვიმა წამოვიდა და ზაქარა ნიაღვარმა გაიტაცა.



ჯერ მდინარეში ამოჰყო თავი.



მერე – ზღვაში... რომ არ დამხრჩვალიყო, მორს ჩაეჭიდა და ისე ცურავდა. ვეშაპები რომ დაინახა, შიშით თმა ყალყზე დაუდგა.



ილბლად ქარიშხალი ამოვარდა და ზღვა აღელდა, ზაქარა ტალღებმა აიტაცეს.



ბიჭი ტალღებმა ერთ პატარა  კუნულზე
კაკლის ხის ტოტზე შეისროლეს.



ამ კუნძულზე ორი უზარმაცესი კაცი – აჩარა და
ბაჩარა ცხოვრობდა. ისინი არხეინად იწვნენ ხის
ძირში და ელოდნენ, კაკალი როდის ჩამოვარდებაო.



ზარმაცებს თავიც არ აუღიათ,
ისე შესძახეს: – ჰეი, ბიჭო,
ჩამოყარე კაკლები და რომ
ჩამოხვალ, ძმურად გავიყოთო.



ზაქარამ დაჰკრა და დაჰკრა ფეხი
ტოტს, წამოვიდა და წამოვიდა
ხრიალით კაკალი  და ზედ თავზე
დაეყარათ ზარმაცებს.



აჩარასაც და
ბაჩარასაც მეტი
რა უნდოდათ,
კბილით
ამტვრევდნენ და
სანსლავდნენ.



ზაქარა ხიდან
ჩამოცოცდა, დაბლა
ნაჭუჭების გროვალა
დახვდა. ზარმაცებს
კი ამდენი კაკლისაგან
ტიკებივით შებერვოდათ
მუცლები.





ზარმაცებმა ზაქარას თვალები დაუბრიალეს: ტანსაცმელი გაიხადე და ჩვენ მოგვეცი, გვცივაო.

ზაქარას შეეშინდა: ადგა და აჩარას შარვალი მიუგდო, ბაჩარას – ხალათი.





ზაქარა მთლად შიშველი დარჩა და კაკლის ფოთლები აიფარა ველურივით.

აჩარამ და ბაჩარამ იფიქრეს, ეს რა მხდალი ვინმე ყოფილაო და უფრო გათამამდნენ: – აბა, ახლა შეშა მოაგროვე და აგერ ცეცხლი დაგვინთე, ერთი გვარიანად გავთბებითო.





ზაქარამ ისეთი კოცონი დაანთო, ალი ცამდე ადიოდა.

ზარმაცებს გვერდები ეწვოდათ, მაგრამ გადაბრუნება ეზარებოდათ. ისევ ზაქარას უბრძანეს: – მოგვკიდე ხელი და ცოტა გვერდზე გადაგვაგორეო.



ზარმაცებმა დაიძინეს. დაღლილ ზაქარასაც ჩასთვლიმა.



განთიადისას კუნძულს მეკობრეების ხომალდი მოადგა.



მეკობრეებმა სამივე დაატყვევეს.



აჩარას და ბაჩარას გემბანზე წყალი აზიდვინეს.

კაპიტანმა ზაქარა მოსამსახურედ დაიყენა და მეზღვაურის ტანსაცმელიც კი უბოძა.





აჩარას და ბაჩარას ჯერ გემბანის მორეცხვა უბრძანეს, მერე აცეკვეს.



ბოლოს ანძაზე მიაბეს და ღვთის ანაბარა დატოვეს.



ზაქარა მთელი დღე ემსახურებოდა კაპიტანს.



მერე დასვენების ნება მისცეს. იგი ხის კასრში ჩაძვრა და ფიქრს მიეცა, თუ როგორ დაეხსნა თავი.



შუაღამისას ზაქარამ აჩარა და ბაჩარა ანძიდან ახსნა.



სამივენი ნავში ჩასხდნენ და გაცურეს.



აჩარა და ბაჩარა თავიანთ კუნძულზე
გადმოვიდნენ და ზაქარამ გზა განაგრძო.



ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა და ნავი
ნაფოტივით გაიტაცა.



გულგახეთქილი ზაქარა ნავის
კიდეს ჩაებღაუჭა, ის-ის იყო, უნდა
დაღუპულიყო, რომ...



იღბლად ვერტმფრენი გამოჩნდა.



მფრინავმა თოკის კიბე ჩამოუშვა
და ზაქარა ზედ აბობღდა.



არაქათგამოლეული ზაქარა დაანაყრეს და
მოასვენეს.



ვერტმფრენი დაეშვა ზაქარას ქალაქში. იქ უკვე დაზამთრებულიყო.



ზაქარას მეგობრები საახალწლოდ ემზადებოდნენ.



ისინი ზაქარას გამოჩენას აღტაცებით შეხვდნენ. ზაქარამ თვისი თავგადასავალი უამბო და საახალწლო ფერხულში ჩაება.

## ჯუღა-ჯუღა ამბები



# ზღაპარი ლორის, მისი ხუთი გოჭის და მგლის

(ხალხური)



# რაც მოუივა დავითალ...





ყურადღებით გააფერადე ეს ნახატი მითითებული ნომრების მიხედვით და მიიღებ ცნობილი ქართული ზღაპრის ილუსტრაციას.

1 - მწვანე
2 - ყვითელი
3 - იისფერი
4 - ნარინჯისფერი
5- წითელი
6 - ყავისფერი
7- შავი
8 - ლურჯი

## შეაღბინე მოთხრობა





# ნახატი მოთხრობა



# მოდი, ვიჭიდაოთ!



# კაპიტან მარწუხას თავგადასავალი



კაპიტანი მარწუხა ერთ მდინარეში ცხოვრობდა.



ერთხელ თავის წყალქვეშა ნავში იჯდა და პერისკოპით* თვალყურს ადევნებდა მდინარეს.



დაინახა, მდინარეს მკვდარი თევზი მოჰქონდა.



მარწუხა მიხვდა, ბოროტი ბრაკონიერები თევზებს დინამიტით ხოცავენო და იქით გაცურა.



უცებ ფსკერზე პატრუქიანი დინამიტი გამოჩნდა.



გამოჩნდა მეორე დინამიტი, მესამე... მარწუხამ ყველა პატრუქი გადაჭრა.



ბრაკონიერები ხახამშრალი დარჩნენ.



გახარებული მარწუხა მხიარულად გაბრუნდა უკან.



ამ დროს წყალმცენარეებიდან უზარმაზარი, ლიფსიტების მტერი, შავი ღლავი გამოვარდა და ნავს გამოუდგა.

**პერისკოპი - წყალქვეშა ნავიდან სათვალთვალო ოპტიკური ხელსაწყო.*

## კუდა-კუდა ამბები





კაპიტანმა გვიან შენიშნა ღლავი.

ღლავმა კუდი დასცხო წყალქვეშა ნავს.

დაზიანებული წყალქვეშა ნავი ფსკერისკენ დაეშვა.



მარწუხა ნავიდან გამოცურდა და ღორმუცელა ღლავს შიგ ხახაში ესროლა წყალქვეშა თოფი.

გაბრაზებულმა დაჭრილმა ღლავმა კაპიტანი გაიტაცა.

ბედად, იქვე ყმაწვილები თევზაობდნენ და მათ ანკესს ჩაეჭიდა.



ბავშვებმა ანკესი ძლივს ამოზიდეს.

მარწუხამ ნადავლი ძღვნად მიართვა პატარა მეთევზეებს.

კაპიტანი მარწუხა ბავშვებს გამოემშვიდობა და ნავის შესაკეთებლად ფსკერზე დაეშვა.

დასასრული



# წერილი

ბექამ სოფლიდან გვანცას წერილი მიიღო. გვანცას ზოგ სიტყვაში ასოები გამორჩენოდა. ამოკრიფე კალათიდან ასოები, ჩასვი თავ-თავის ადგილას და დაეხმარე ბექას წერილის სწორად წაკითხვაში.




# სამაგიერო



იპოვე, რა
შეცდომა
დაუშვა
მხატვარმა.





# ხითხითელა


– მე ჯერ ამხანაგებთან გავივლი, თქვენ კი ჩანთა სკოლაში მომიტანეთ.
– შეხედეთ, შვილე-ბო, ამას მალხაზი ჰქვია, ჩვენ კი ღორებს გვეძახიან.
– შეხედეთ, მეგობრებო, წელსაც გაუძლო ამ ციხემ ურიცხვი ურდოების შემოსევას.
– ზაფხულში თუ კითხულობდი?
– საკითხავად სად მეცალა, ვისვენებდი.
– გაიღვიძე, არდადეგები დამთავრდა!


დედა მაიმუნი:
– ყურადღებას ნუ მიაქცევ, შვილო, მაგ მანჭიებს!
კონცერტი
სასადილო
სკოლისაკენ!
– შეხე, ნიკო როგორ ურტყამს თავის ძმას, ალბათ, ორიანი მიიღო!
– არა, რომ არ მიიღოს, იმიტომ ურტყამს!


მურიანი გოგონა
მურიანმა გოგონამ ეზოში კნუტი დაინახა და სთხოვა, მოდი, ვითამაშოთ, მე დედა ვიქნები, შენ შვილიო.
– შენისთანა მურიანი დედა რად მინდა! – უპასუხა კნუტმა.
გოგონამ ახლა წიწილას სთხოვა, ვითამაშოთო.
– გასწი იქით, ბუმბული არ გამიმურო! – დაიწივლა წიწილამ და გაიქცა.
გოგონამ მოიწყინა. უცებ წყლის კასრზე დასკუპებულმა ბაყაყმა დაუძახა:
– მოდი, ვითამაშოთ!
– მე დედა ვიქნები, შენ შვილი!
ბაყაყმა თითი ასწია:
– გამურულ შვილს პირი უნდა დაგბანო...
გოგონას მურიან სახეზე წყალი შეასხა...
გოგონამ შინისკენ მოკურცხლა.
ხელ-პირი დაიბანა და მზესავით გამოანათა. მას მზია ჰქვია. ახლა მზიასთან თქვენც სიამოვნებით ითამაშებთ.

# მიწაკაცასა და თანდილას ამბავი




მიწაკაცამ კვარი აანთო.
გვირაბში წინ მიიწევდნენ.
ხმაური შემოესმათ.
– არ შეშინდე!
– ამ მიწისქვეშა გამოქვაბულში ჩანჩქერი ხმაურობს, ეს მიწისქვეშა ცბაა.
– კვარი თავდება, ახალს მოვიტან.
მიწაკაცა გვირაბში მიიმალა.
– აჰა, ჩავივარდი ხელში მიწაკაცავ!
თანდილას ფარანი მიანათეს, ვიღაცამ ხელი სტაცა.
თანდილა მიწაკაცა ეგონათ და წყალქვეშა ნავში ჩააგდეს
ნავი სიღრმეში ჩაეშვა.


– თანდილა, სად ხარ?
მიწაკაცა დაბრუნდა.
– თანდილას ფეხსაცმელი! ჩემმა მტრებმა – ავაზაკებმა მოიტაცეს, უნდა ვუშველოთ!
– ეს მიწაკაცა არ არის.
თანდილა ავაზაკების უფროსს მიჰგვარეს.
– ამიერიდან ჩვენ გვემსახურები.
– ტანსაცმელი გაგვირეცხე ყველას!
ავაზაკები შიშვლები თამაშობდნენ ბანქოს.
თანდილა რეცხვას შეუდგა.
დაიღალა, ფეხზე ძლივს იდგა.
ავაზაკებმა დაიძინეს. ფხაჭუნი მოისმა.
კედელში ხვრელი გაჩნდა და მიწაკაცა გამოჩნდა.
– ნუ გეშინია, მე აქ ვარ.
– სასწრაფოდ აკრიფე ტანსაცმელი.
ავაზაკები შიშვლები დატოვეს.
ხვრელში მიიმალნენ.
დავბრუნდეთ. ალბათ, სახლში მელოდებიან.
ნახვამდის.

# სასექტემბრო




ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

**მთავარი რედაქტორი: დოდო წიწნიაძე**
**მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77**
**http://www.dila.ge,** ელ–ფოსტა: **dila1904@yahoo.com,**
facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
**ფასი: 2.50 ლარი**

ISSN 0132-5965

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

მწერალთა სახლი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო